ინფორმაცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე - სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- ეკატერინე ხატიაშვილი.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით სიღნაღის რაიონული სასამართლოს (მათ შორის საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლოები) მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2024 წლის განმავლობაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მათ შორის საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლობში) ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 14 განცხადება, მათ შორის: არასამთავრებო ორგანიზაციიდან - 8 განცხადება, მოქალაქეთაგან - 6 განცხადება.

შემოსული განცხადებებიდან 6 მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, 6 მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო 2 განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის - ეკატერინე ხატიაშვილის მიერ.

მიმდინარე წელს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ არ შემოსულა არცერთი განცხადება. განხილულ იქნა 2 ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე, საიდანაც დაკმაყოფილდა 2 ადმინისტრაციული საჩივარი.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

Ekaterine Khatiashvili 01013000373

Digitally signed by Ekaterine Khatiashvili
Date: 2024.12.05 10:40:04

ეკატერინე ხატიაშვილი

სიღნაღის რაიონული სასამართლოში
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე